



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტრო

MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS FROM THE OCCUPIED TERRITORIES, LABOUR, HEALTH AND SOCIAL
AFFAIRS OF GEORGIA

სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო

LEPL REGULATION AGENCY FOR MEDICAL AND PHARMACEUTICAL ACTIVITIES



KA030264676599120

საქართველო, თბილისი 0119, აკ. წერეთლის გამზ. 144, ტელ: (+995 32) 2 72 53 84

144 AK. TSERETELI AVE, 0119, TBILISI, GEORGIA, TEL: (+995 32) 2 72 53 84

№ 02/5526

25 / მაისი / 2020 წ.

ადმინისტრაციის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის
მოვალეობის შემსრულებელს თინათინ
ხარძიანს

ქალბატონო თინათინ,

2020 წლის 22 მაისის N01/5477 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, Alprazolam XR და Lorazepam მიეკუთვნება ფსიქოტროპული ნივთიერებების ნუსხას (სია III).

„ფიზიკური პირის ინდივიდუალური საჭიროებისათვის ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 15 ივნისის № 01-32/ნ ბრძანებით ფიზიკური პირის ინდივიდუალური საჭიროების მიზნით ნებადართულია ზემოაღნიშნული ფსიქოტროპული ნივთიერებების 31 დღის მარაგის შემოტანა.

ფიზიკური პირის მიერ ინდივიდუალური საჭიროებისათვის სხვა ქვეყანაში შეძენილი ნარკოტიკული საშუალებების ან/და ფსიქოტროპული ნივთიერებების საქართველოში შემოსატანად საქართველოს საგადასახადო ორგანოებს სასაქონლო დეკლარაციასთან ერთად წარედგინება:

ა) ინგლისურ ენაზე თარგმნილი, უფლებამოსილი ორგანოს მიერ იმ ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით დამოწმებული რეცეპტის ქსეროასლი, საიდანაც მოემგზავრება ფიზიკური პირი. რეცეპტში მითითებული უნდა იყოს ფიზიკური პირის სახელი, გვარი, სქესი, ასაკი, დიაგნოზი, ნარკოტიკული საშუალებების ან/და ფსიქოტროპული ნივთიერების სავაჭრო და გენერული დასახელება, წამლის დოზირებული ფორმა, ტაბლეტის (აბის), ამპულის და ა.შ. რაოდენობა, წამლის მიღების წესი და დანიშნული მკურნალობის კურსის ხანგრძლივობა (იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ქვეყნის რეცეპტის ფორმა არ ითვალისწინებს ზემოაღნიშნული მონაცემების შევსებას, მაშინ აღნიშნული მონაცემები შეიტანება ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტში);

ბ) ინგლისურ ენაზე თარგმნილი, შესაბამისი ორგანოს მიერ იმ ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით დამოწმებული რეცეპტის გამომწერი ექიმის სერტიფიკატი, საიდანაც მოემგზავრება ფიზიკური პირი;

გ) რეცეპტისა და სერტიფიკატის ნამდვილობის დამადასტურებელი, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებული დოკუმენტი, რომელსაც გასცემს შესაბამისად უფლებამოსილი იმ ქვეყნის ორგანო, საიდანაც მოემგზავრება ფიზიკური პირი. დოკუმენტში აღნიშნული უნდა იყოს ამ ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი, საკონტაქტო პირი, ტელეფონი და დანიშნულების ქვეყანა.

პატივისცემით,

დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამმდგენი
ელექტრონულად



ზაალ კაპანაძე